რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში ბაღების ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთ ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთი თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

წვრილის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, ასოიანი სტრიქონისა ასოზე ნახევარი კაპეიკი, ნეკროლოგიურ ამბავის სტრიქონზე ორი კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

## ტელეგრამმა

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

**ასხაბადი**, 16 თებერვალს. (კასპიის იქითა მხრიდამ—ახალ-თეკიდამ) ჯარის სარდლის განკარგულებით და სამხედრო სამსაჯულოს განჩინებით დღეს დახვრიტეს მერველი ბერდიჩევ, მოთავე ალამანებისა, რომელთაც გასულის წლის გიორგობის თვეში გაცარცვეს ტოპოგრაფი პარფენოვი და ამ დროს მოჰკლეს სამი ყაზახი-რუსი. მეორე მონაწილეს ამ ავაზაკთა დასისა სიკვდილით დასჯა შეუმსუბუქეს სამუდამო კატორღაში გაგზავნით.

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი")

### საზღვარ-გარეთიდამ

16 თებერვალს

**ლონდონი**. დუნაის კონფერენცია გათავდა.

**რომი**. გუშინ ღამ სამი პარკი თოფის-წამალი აახეთქეს; ერთი-ავსტრიის ელჩის სახლის მახლობლად, ვატიკანის გვერდით; მეორე—ავსტრიის ელჩის კარების წინ; მესამე—კარდინალის სასახლის ახლო.

17 თებერვალს

**ბერლინი**. აქ მოკვიდენ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე და ემინბურღის გერცოგი.

**პარიჟი**. დღეს ჟერრიმ ინახულა თავადი არლოვი.

### რუსეთიდამ

16 თებერვალს

**პეტერბურღი**. სიბირიაკოვმა შესწირა სამეცნიერო აკადემიას 10 ათასი მანეთი, რომლის სარგებლით ყოველს სამ წელში უნდა ეძლიოს პრემია იმ პირთ, რომელნიც შეადგენენ საუკეთესო ისტორიულ თხზულებას ციმბირზე. როცა ციმბირის უნივერსიტეტი გაიხსნება ეს ფული და ეს უფლება გადაეცემა უნივერსიტეტს.

გამოიცა ბრძანება გადაადნონ შავი ფული და ახალი ფორმისა მოსჭრან.

17 თებერვალს

**მოსკოვი**. ბაღის გაშენების საზოგადოება გამართავს ამ ზაფხულს გამოფენას.

## სასოფლო ფოშტა

წერილის გაგზავნა რომ გსურდეს ერთ მაზრიდამ მეორე მაზრის სოფელში, არამც თუ ძნელი, არამედ ზოგჯერ შეუძლებელია. მე მსურდა მაგ. თელავიდამ სოფ. ლოდეთში (გორის მაზრაში) წერილი გამეგზავნა, მაგრამ ვერაფრის გზით ვერ მოვახერხე, როდესაც დაუბრკოლებლად ვგზავნი და თავის დროზედ პასუხიც მომდის ამერიკიდამ ერთ ჩემ მეგობრისაგან, რომელიც ცხოვრობს ერთს მიგდებულს ალაგს ედემში ქ. მელონვილის ახლოს, ფლორიდის შტატში. ეს ედემი, როგორც მწერს ჩემი მეგობარი, ოც მილზედ იმყოფება მელონვილიდამ და წარმოადგენს უდაბურ ალაგს, სადაც ცხოვრობს მხოლოდ ხუთი სახლობა, მაგრამ, რიგიანი წესების გამო, ფოშტას არ არიან მოკლებულნი.

უფოშტობა ჩვენი სოფლებისთვის დიდი ნაკლულევანებაა; სოფლელები მოკლებულნი არიან ჟურნალ-გაზეთებს და მიწერ-მოწერას საზოგადო და კერძო საქმეებზედ. რომ ფოშტას საზოგადოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში, ყველა დაგვეთანხმება, ფოშტას შემწეობით შეიძლება გავრცელდეს ხალხში სხვა-და-სხვა სასარგებლო ცნობები, გაუმჯობესდეს კეთილ-დღეობა, მოუტანოს შემწეობა ალებ-მიცემობას, ვაჭრობას და სხვ.

და თუ ეს ასრეა, მაშ რაღა არის მიზეზი, რომ ჩვენში არ არის სასოფლო ფოშტა? ნუ თუ მართლა მომატებული ხარჯი იყოს მისი დამაბრკოლებელი? არა მგონია: ერთს ცხენოსანს კაცს შეუძლიან კვირაში ორჯელ დაუაროს რამდენსამე სოფელს, გამოართვას და ჩააბაროს ფოშტა, ისე რომ თითო მაზრაში ათიდამ თხუთმეტამდის კაცი საკმაო იქმნება სასოფლო ფოშტისათვის, თუ სოფლები რიგიანად გაიწილადებს; ამათი ჯამაგირი შესდგება ჩაფრების, ურიადნიკების და მათი უფროსების ჯამაგირებიდამ, რომლებიც, სასოფლო ფოშტის დაარსების შემდეგ, საჭირონი აღარც კი იქმნებიან.

მაგრამ ზოგს ასე ადვილად შესასრულებელი არ მიაჩნია ეს საქმე.

ამ ორი წლის წინად თურმე ჩვენს მთავრობას ჰქონია ამ საგნის შესახებ სჯა და მაზრის უფროსებს ძრიელ გაუძნელებიათ საქმე ისე, რომ გადაწყვეტა ამ საგნისა გადაუდვიათ სხვა დროსთვის. არ ვიცი ისეთი რა საბუთები წარადგინეს მაზრის უფროსებმა, რომ ამ სჯამ ეგრე ფუჭად ჩაიარა. რადგან წელს, როგორც ხმებია, სხვათა შორის ფოშტასაც მოელის ცვლილება ცუდი არ იქმნება, რომ საზოგადოებამ მიაქციოს ყურადღება ამ საგანს, რიგიანად გამოიკვლიოს და ეცადოს იმის განხორციელებას.

ამ სამის წლის წინად იყო აგრეთვე სჯა იმაზედ, თუ რამდენად სასარგებლო იქმნებოდა ფოშტისა და ტელეგრაფის კანტორების შეერთება. ამ სჯამაც ფუჭად ჩაიარა, აქაც არ ვიცი, რა საბუთები დაუხვდა წინ ამ საგანს, რომ ვერ გაიტანა თავი; მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვათა ქვეყნებში, სადაც ფოშტა-ტელეგრაფები უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე რუსეთში, ყველგან ნახავთ ფოშტასა და ტელეგრაფს ერთს სახლში, გარდა დიდ ქალაქებისა, საცა ესენი გაცალკევებულნი არიან.

სიკეთე ამ ორთავე უწყების შეერთებისა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებისათვის ადვილია და ხელმარჯვე ერთს ალაგს მიმართონ წერილები, დეპეშები და სხვ. და ხაზინისათვის ხომ ნულარ იტყვით, რამდენად სასარგებლოა: ერთი რომ რიცხვი ჩინოვნიკებისა შემცირდება და მეორე ისა, რომ ნახევარი ხარჯი შემოაკლდება სახლებზედ, შეშაზედ და სხვ.

კ. მახვილაძე.

## შენიშვნა

ჩვენ დაუძლურებულ სახალხო განათლებას თან-და-თან ემატება შემწეობა თან-და-თან მის წარმატების მსურველი პირნიც ჩნდებიან.

ამას წინად „დროების" № 20-ში იყო შენიშნვა, რომ ბ. ღულაძეს განუზრახავს გამოსცეს ყოველ თვიური პედაგოგიური ჟურნალი და ნებადართვის თხოვნა უკვე წარუდგენია მთავრობისათვის. სასურველია, რომ ეს კეთილი განზრახვა ასრულდეს, რომ ეს ხმა ხმად არ დარჩეს და ნამდვილად ვეღირსნეთ პედაგოგიურ ჟურნალს.

სკოლები ჩვენში თან-და-თან მრავლდება და მასთან სპეციალურად მომზადებული მასწავლებლების რიცხვიც მატულობს.

---

## «დროების» ფელეტონი, 18 თებერვ.

### მოულოდნელი სიყვარული

(ნამდვილი ამბავი)

შემოდგომის მშვენიერი საღამოა. მთელი სოფლის ხალხი, დაქანცული სთვლებში, მიეშურება სახლისკენ დასასვენებლად. პატარა ბავშვებიც ჟივილ-ხივილით, აკიდოებით ხელში, მირბიან შინისკენ. ყოველ მხრივ მოისმის მეურმეების „ორავლოს" ხმა.

მალე ჩაჩუმდა აქოქოვებული სოფელი და მიეცა ღრმა ძილს. მხოლოდ სოფლის განაპირებული ორსართულიანი სახლი ისევ გაჩაღებული იყო. იქ იყვნენ მრავალი ქალ-ყრმანი სოფლის თავადთაგანი და მხიარულობდენ.

მომხიარულე საზოგადოებაში ერია ერთი უცხო ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, რომელიც ზალის ერთს კუთხეში იჯდა მარტო. ნაცნობი ყმაწვილები მიდიოდენ ანდროსთან და სთხოვდენ, მასაც მიეღო მონაწილეობა თამაშობაში, მაგრამ ფეხი ვერ გაანძრევინეს.

იჯდა უძრავი და წარბებ ქვეშ გაჰყურებდა მომხიარულე ხალხს. ბოლოს მისი თვალები მიაჩერდა ერთს მშვენიერ ქალს, რომლის მიმზიდველი და ცეცხლის მომდები თვალები ხშირად მიანათებდენ ხოლმე ანდროსკენ. ყმაწვილ კაცის გულმა შეიტყო თამაროს თვალების სხივის სიცხოველე და ველარ მოეშორებინა მისთვის თვალი. დაავიწყდა ყველაფერი, აღარ ესმოდა—სად იყო და რისთვის და თავჩაღუნული სულ თამაროს უცქეროდა.

— რა დაგმართვია, კაცო, უცბ ჩასძახა იმას ახლო მეგობარმა სოსომ!

— რა! ძლივს ასწია თავი მაღლა ანდრომ.

— ზარუმან! შე ოხერო, სატირლად მოხვედი აქ? შენ მაგისთანად ბათმანობდი, რომ ერთი კარგად ვიმხიარულოთო? რა გემართება, ადექ რაღა იმხიარულე!

— ეჰ! რაღაცა დავლონდი, თორემ ხომ იცი ჩემი ხასიათი?

— ჰო და, მეც იმიტომ მიკვირს შენგან! მაგრამ თვალებმა ხომ არ მოგიტაცეს?

— თვალებია ყველაფრის შემშლელი, თორემ...

— ბიჭო, ხომ ვერავის იცნობ, ასე უცებ? ვინ არის, მითხარ გაგაცნო!

— განა არ იცი აქამდისინ, რომ სიყვარულმა ცნობა არ იცის?

— მე ვიცი, ვისაც ამბობ, წამო გაგაცნო!

— აბა, რა იცი?

— მე ვიცი, შენ რა გინდა, წამო, გაგაცნო!

— აბა, მაშ ჯერ მითხარ ვინ არის.

— აგე ის არ არის? სოსომ ანიშნა თამაროზე.

— ვინა? ისა? დაიკარგე შენცა და ისიც! ემაგას ამბობდი, განა ეგ დამბნიდამდა ესე? აი, ოხერი კაცი!

— მაშ ის არ არის?

— არა.

— ეჰ, ვინც უნდა იყოს, მე რას დავდევ, წამო, ითამაშე.

— კარგი, ჩემი „ვიზავი" შენ იყავ.

— ბატონი ხარ. აბა ქალი გაგაცნო, წამო!

— არა, მე თითონ ვიპოვი ქალსაც და გავიცნობ კიდეც.

მაგრამ ერთი აკლია ჩვენი სკოლების კეთილ დღეობას, მასთან ისეთი ნაკლი, რომლისი მოშორებაც აუცილებელია. მასწავლებლების შორის არ არის ერთობა. მაგრამ ან როგორ შეიძლება იყოს მათ შორის ერთობა, როდესაც ბზობის ყვავილივით არიან აქ-იქ დაფანტული. მასწავლებლების ურთი ერთი თანხმობა შეიძლება, მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ ექნებათ საშუალება წერილებითი ლაპარაკისა. ამ საშუალებას დღემდის ჩვენი მასწავლებლები მოკლებულნი არიან, მაგრამ თუ დღეს ვეღირსებით პედაგოგიურ ჟურნალს, მაშინ, რასაკვირველია, ყველა მასწავლებელი ეცდება მიიღოს მაში მონაწილეობა და გაუზიაროს თანა მოძმეთ თავისი საქმის მიმდინარეობა, თავის აზრი და დაკვირვება. დღემდის სოფლის მასწავლებლებს ორი შრომა აწევს კისერზე. პირველად მან უნდა მოამზადოს ყოველ დღიური მასალა და მეორე მასალის შემუშავება და მეთოდიკის მოძებნა და ამორჩევა. სად გამოძებნოს ეს მეთოდ? რასაკვირველია, უნდა გაიცნოს რუსული მეთოდიკები და იქ ბევრ მეთოდიკებს გასჩხრეკავს, მაგრამ თავის სურვილს კი ვერ დააკმაყოფილებს, რადგან რუსული მეთოდიკები რუსულ სკოლებისთვის არიან შემდგარნი და არა ჩვენი სკოლებისთვის.

ასე რჩება მოტყუებული მასწავლებელი და ისევ ატანს ძალას თავის მეთოდს; ასე რომ ყოველ მასწავლებელს ჩვენში თავისი საკუთარი მეთოდი აქვს. რაკი დაარსდება პედაგოგიური ჟურნალი, უეჭველია, ყოველი საგნის მეთოდიკები შემუშავდება, დაიბადება და ჩვენი სკოლები ერთ ფერს დაიდებს და ერთს გზაზე დადგება.

პედაგოგიურივე ჟურნალის შემწეობით გავრცელდება ჩვენში პედაგოგიური ლიტერატურა, რომელზედაც ამბობს რუსეთის გამოჩენილი პედაგოგი უშინსკი: „ყოველი სასწავლებლისა წარმატება პედაგოგიურ საქმეში და ხალხის განათლების წინ წაწევა, პედაგოგიურ ლიტერატურაზედ არის დამოკიდებული.“

დაბოლოს სულით და გულით ვისურვებთ, ბ. ღულაძეს მიეღოს ნებართვა მთავრობისაგან თავის კეთილ განძრახვის ასრულებაზე და მის მომავალ ჟურნალს მოეტანოს ის სარგებლობა, რასაც ჩვენი სახალხო სკოლები თხოულობენ.

ს. ჭ.

## დღიური

გაზეთებში იწერებოდნენ, რომ დიდმარხვაში დრამატიული წარმოდგენები გაიმართებიანო. ეს ამბავი ნამდვილი არ გამოდგა. გაიმართება მხოლოდ ოპერის წარმოდგენები, ბალეტები და სხვანი გარდა დრამატიულისა.

* * *

ჩვენი მხრის ტრანზიტზე სად არ სჯიან? სხვათა შორის ქაევის საბირჟო კომიტეტსაც ჰქონია ამ საგანზე სჯა და ტრანზიტის დახურვაზედ თანაგრძნობა გამოუცხადათ. რაც შეეხება კავკასიის აქეთა მხრის და თურქისტანის მაზრის შაქრის ქარხნებს, უფიქრებია კამიტეტს, რომ ყოველი ახლად გახსნილი ქარხანა სამის წლით განთავისუფლებული იყოს ყოველგვარის გადასახადისაგან და ამ ვადის შემდეგაც, საზოგადო გადასახადის დაკლებით, ნახევარი იხ დონო.

* * *

19 თებერვალს, დილის 10 საათზე, ეგზარხოსის ეკკლესიაში, საქართველოს ეგზარხოსი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პავლე გადახდის ლიტურღიასა პანაშვიდს განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე II-ის მოსახსენებლად.

* * *

ბ. ვამბარიეი კვლავ აგრძელებს თავის ლექციების კითხვას, მხოლოდ ამ განსხვავებით, რომ ამ ლექციების მოსასმენის ფასი გაუიაფებია: 2 მანეთიდამ 1 მან. ჩამოსულა.

* * *

გაზ. „ეხოს“-ს სიტყვით გასულ 11-ს ამ თვისა კონონოვის თეატრში (პეტერბურღში) უნდა გამართულიყო ქართველ მოსწავლეთა სასარგებლოდ მუზიკალური საღამო, რომელზედაც მონაწილეობის მიღება აღეთქვათ სხვათა შორის რამდენიმე მომღერალთ, ფორტეპიანოზედ დამკვრელთ იტალიისა და რუსის ოპერისა. დანიშნული იყო ქართული სიმღერებიც და ლეკური და სხვა-და-სხვა გვარი კავკასიური ცეკვანიო.

გაიმართა თუ არა ეს საღამო არ ვიცით. მხოლოდ ჩვენგან გულითად მადლობის ღირსნი არიან ეს პატივცემულნი პირნი, რომელთაც სურვილი შექმნიათ ჩვენი ქვეყნის შვილების დახმარებისა. უეჭველია, ამ პატივცემულთ ახსოვთ ჩვენი ქვეყნის პურ-მარილი და პატივისცემა ჩვენგან ზოგი იმათგანისა, მათი აქ მყოფობის დროს.

* * *

სატახტო გაზეთებში იწერებიან, რომ რადგან მუდამ წელს აუარებელი ახალგაზდანი იღებენ რუსეთის უნივერსიტეტებში იურიდიულ მეცნიერების სწავლას, წინადადებაა ამიერ განსაზღვრულ იქმნეს სამსაჯულოებისაგან გაცემა კერძო ვექილებზე სხვა-და-სხვა სამსაჯულოებში საქმეების დაცვის უფლების მოწმობათა, რადგან ამ ჟამად უმრავლესობას ახალგაზდებისა, რომელთაც მიუღიათ სპეციალურად—იურიდიული სწავლა-განათლება, არა აქვს ღონის ძიება რომ თავისი, თეორეტიული განვითარება პრაქტიკაშიაც მოიხმაროს და მით დღიური ლუკმა მოიპოვოს.

* * *

მოგეხსენებათ, ამას წინად, ქალ. ბათუმის უფროსს ბერსს რომ დაეცნენ ავაზაკები და მისი მოკვლა განეზრახათ. ამ საქმის თაობაზედ ამ ჟამად გამოძიება უკვე გათავებულა ადგილობრივ და ბრალმდებულის აქტით საქმე ოლქის სასამართლოსათვის გადმოუციათ.

* * *

ბ. ა. ლ. ჟურულის შემწეობით ბათუმის „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ, როგორც „კავკაზს“ აცნობებენ, გაუმართავთ ქართული წარმოდგენა, რომლიდამაც წმინდა შემოსავალი დარჩენილა, სკოლის სასარგებლოდ, 213 მან.

* * *

გაზეთები გვაცნობებენ, რომ მართებლობამ საჭიროდ დაინახა სამეურნეო სკოლების დაარსებაო და ამას გარდა განიზრახა შემწეობა მისცეს ამ გვარსავე კერძო, არა მმართებლობისაგან დაარსებულ, სკოლებსაო.

* * *

სენატმა უარ-ჰყო პალატის განჩინება გივანდოვის და გაზიანცის საქმის გამო, რომელთაც ბრალდებოდათ ცეცხლის წაკიდების განზრახვა (პალატამ კატორგაში დაკარგა ესენი) და მიუწერა მას დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს ისინი სატუსაღოდამ და მხოლოდ პოლიციის მხედველობის ქვეშ მისცეს, არ ჩამოერთვას მათ არც გირაო და არც თავდები მოეთხოვოს. სენატის ამ გვარმა გადაწყვეტილებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა პალატის წევრთ შორისაო, იწერება „იურიდ. მიმოხილვა“

* * *

ამავე გაზეთს სწერენ ახალ-ხენაკიდამ დიდს საშლურავს და ჩვილს ადგილის მომრიგებელ მსაჯულზ. დ. მასის განკარგულებით, ყველა მომჩივანმა უეჭველად მას უნდა მიმართოს, რაც უნდა მცირე რამ საჩივარი ჰქონდეს მას. თვით ბ. მსაჯული კი 12 საათზე ადრე არ მოდის სასამართლოშიო და სანამ ყველა წინანდელ საქმეთ არ განიხილს არავითარ თხოვნას არ მიიღებსო. ამ ნაირად უბრალო ცნობის მისაღებად ან პირის გადმოსაწერად მოსულმა მოჩივანმა უნდა ელოდოს ერთი და ხან მეტი დღე, მაშინ როცა სეკრეტარი სასამართლოისა 5 მინუტში გაარიგებდა ამ საქმესაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

სტ. აბაშა, 14 თებერვალს. მოლა ნასრადინასთვის უთქვამს ერთს მის მოწაფეს: ყველა სხეული მეზღება და ყური არაო, ვსწუხვარ ყურები გლახა არ დამირჩესო. ამაზედ გამოცდილს

---

— შენი ნებაა.

სოსო წავიდა ქალებთან თამაშობის სათხოვნელად.

ანდრო უცებ წამოდგა, მივიდა შორი-ახლო მჯდომ თამაროსთან და სთხოვა თამაშობა. ქალმა ღიმილით გადმოხედა და თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

დაჰკრეს მოლხინეთ. დაიწყო ზალაში ხალხის ტრიალი. ყველა გაკვირვებული იყო ანდროს უცები გაფხიზლებაზე. თამაშობის დროს გააბა ბაასი თამაროსთან.

გაათავეს თამაშობა. ანდრო და თამარო წავიდნენ ერთად და ხალხის მოშორებით განაგრძეს ლაპარაკი.

— რა აზრისა ხართ თქვენ ჩემზედ? ჰკითხა თამარომ.

— თქვენზე რა აზრი მაქვს?

— დიახ, რა აზრი გაქვთ ჩემზე?

— თქვენზე ის აზრი მაქვს, რომ თქვენ, მარტო თქვენ ამოდენა საზოგადოებაში მიიზიდეთ ჩემი გული...

— მაგაზე ხომ არ მოგახსენებთ... გააწყვეტინა თამარომ.

— არა, რაც გინდათ ბძანეთ, მაგრამ მე მხოლოდ ჩემს აზრს მოგახსენებთ, მხოლოდ თქვენ მიიზიდეთ ჩემი გული და ახლა ჩემი ბედი თქვენზედ არის დამოკიდებული.

თამარო გაწითლებული, თავ-ჩაღუნული დარჩა და ვერ ჰპოვებდა სიტყვებს პასუხის მისაცემლად.

— რად შეგრცხვათ?.. თქვენ უნდა იყვნეთ ჩემს ბედად და თქვენის მშვენიერის თვალების ცქერით უნდა გამაბედნიეროთ.

— უკაცრავად, ბოლოს წარმოსთქვა თამარომ, მე მგონი ყველა მაგას ახალგაზდური უცები აღტაცება გათქმევინებთ; როცა გაგრილდება გული, მაშინ...

— როგორ, განა მე უხასიათო ახალგაზდად მიცანით? მე გეუბნებით, რომ თქვენ მიყვარხართ და არას დროს მე დროებით აღტაცებას არ მივდევ. თუ კიდევ არ რწმუნდებით ჩემ სიტყვაზე, აი, ეს იყოს ჩემი სიტყვების სინამდვილის დამამტკიცებელი.

გამოიძრო თითიდგან ოქროს ბეჭედი და მისცა თამაროს.

თამარომ გამოართვა ბეჭედი.

— კარგი, მაშ, აი, საბადლო... და თამარომაც მისცა თავისი ბეჭედი.

— ახლა ამ ღამევე შენ უნდა გამოუცხადო ჩვენი გულის წადილი შენს მშობლებს, რომ ხვალვე ყველანი დარწმუნდენ ჩვენ ბედნიერებაზე.

— მე, ძალიან ძნელ ვალს მდებ კისერზე, აბა ხომ იცი ქალის გაუბედავი ხასიათი. რავქნა, ვერ გაუბედავ ჩემს მშობლებს. ისევ შენ მოდი დილაზე და შენვე გამოუცხადე ჩვენი აზრი.

— ძალიან კარგი, მოვალ.

— აბა გელით.

თამარო ადგა და ქალებში გაერია.

— უეჭველად, უეჭველად! მიაძახა ანდრომ.

— აი, შე ეშმაკო, შენა, აკი მე ვსტყუოდი, უცებ წამოჩურჩულა მოახლოვებულმა სოსომ.

— მართლაც, რომ სტყუოდი!

— მაშ რაღას ჩურჩულობდით?

— ჰე! რას იზამ, ძალიან რომ გეწონება, შენც უნდა ბანი მისცე.

— მაგის მეტს რას იტყვი!

— ვამბობ და ვიტყვი. დიახ, დიახ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლის მიუგია: არა თუ მარტო მის მოწაფის, საზოგადოდ ადამიანის ყური შემდეგ ბავშობისა აღარ იზდება, რადგან ყოველს ავს და კაცის საწყენს ამბებს ის გაიგონებს.

ეს სასაცილო არაკები ხანდ-ხან ფაქტებად წარმოსდგება ზოგიერთ გარემოებაზედ.

ამ დღეებში ერთს საძაგელს ამბავს შევხედი და იმის გამგონე ჩემი ყურები არა თუ გაზდას, დაყრუებასაც მოელის. მე ვიყავი სტ. სამტრედიაში ერთს ნაცნობთან, რომელიც მსახურებს რკინის გზაზედ და ვატარებდით დროსა საამო ამბების ლაპარაკით. უეცრად რკინის გზის „სკლადიდამ“ რაღაც ხმაურობა მოგვესმა. გავწყვიტეთ ბაასი და დაუგდეთ ყური. მცირე ხნის შემდეგ „სკლადიდამ“ გამოვიდა ერთი მტირალი კაცი, საცოდაოდ გაიძახოდა:—„ვაი ცოლო და ვაი შვილებო“. იქვე დაეკითხნენ ამ კაცს, თუ რისთვის ტიროდა? გულ ამომჯდარი გვიამბო თვისი უბედურება: ის არის ღარიბი ვაჭარი, რომელმაც გამოგზავნა სხვა სტანციით სხვა-და-სხვა საქონელი. სამტრედიაში იმ დილით მივიდა და ნახა, რომ თავის საქონელი, როგორც გამოგზავნა, იგრე იყო, მაგრამ როდესაც ხელ მეორედ დაბრუნდა მოიზადებული საქონლის წამოსაღებად, ყველა ცალები დახვდა დაგლეჯილი და თითქმის ნახევარი ნაწილი საქონლისა წაღებული.

გზა-გაბნეული, ილაჯ მოღებული საწყალი ვაჭარი ხან ვის აბრალებდა თავის დაღუპვას, ხან ვის. მაგრამ იქვე მდგარ ერთმა რკინის გზის მსახურთაგანმა გაურისხდა, როგორა ჰბედავ ეჭვის შეტანას „ამაზედ“ ან „იმაზედაო.“ თუ კიდევ გაგიბედნია მაგის ალმოთქმა დანარჩენ საქონელსაც არ მიიღებო. წარმოიდგინეთ, რა ზარი დაეცემოდა იმ საცოდავს. ღვთის წინ მართალი სჯობს, და ამბობენ ამ გვარი ამბები სხვა დროსაც მომხდარა აქაო.

აზნ. ქულაჯა შალვაბარია.

## უცხოეთი

საფრანგეთი. საფრანგეთის რესპუბლიკელ დასს არ გაუცუდდა იმედი, რომ ჟულ ფერრის სამინისტრო არ შეიწყნარებსო პრინცებს. თან სამხედრო სამინისტროც ხელ-ახლავ ღენ. ტიბოდენს ჩაბარდა, რომელიც ეწინააღმდეგება პრინცების დაჩენას სამხედრო სამსახურში. ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამი პრინცი განაძევეს სხვა-და-სხვა უწყებიდამ. სამხედრო მინისტრის, ღენ. ტიბოდენის აზრით, ამათ საფრანგეთის მხედრობაში ისეთი მცირე თანამდებობა უჭირავთ, რომ მათის დათხოვნით ჯარს არა დააკლდება-რა. ფერი, მართლა, მთელს საფრანგეთს ეცვალა ამ უკანასკნელ ხანებში ამ შინაგან საქმეთა არევ-დარევით. საფრანგეთმა თითქო დაჰკარგა თვისი საპატიო მნიშვნელობა, ღირსება მთელს ევროპაში. რამდენი საქმე გადასწყდა ამ ხანში მთელის ევროპისათვის საყურადღებო, რომ საფრანგეთს არც კი დაჰკითხებიან. ევროპამ იცოდა, რომ საფრანგეთი შინაგან საქმეების განწყობით იყო დატვირთული და იმიტომ არ საჭიროებდა მის რჩევას, როდესაც არიგებდა ეგვიპტის, დუნაის და სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეებს.—ეს ჭირი მიადგა საფრანგეთს იმ დღიდამ, რა დღესაც შესწყდა ხმა გამბეტასი საფრანგეთში, რასაც მოჰყვა პრინცების ყუყუჩება და მით მთელის საფრანგეთის აღშფოთება. ნუგეშ-იმედად ახლა საფრანგეთის რესპუბლიკას გადაჰქცევია ჟულ ფერრის სამინისტრო, ამისაგან მოელიან წესიერებას ჩამოგდებას და განათლებულ ქვეყანათა შორის დაჭერას იმავე ადგილისა, რომელიც მცირე ხნით დაუტევა საფრანგეთმა პრინცების მანქანების წყალობით.

## ნარევი

### გამოცანები

(შორაპნის მაზრაში შეკრებილი ბ-ნი ქვალითელის-მიერ).

დიდ მინდორში დავინახე
დიდი ოზურმაო,
თავით ღმერთსა ესვეწება,
კუდით კვანტრუშაო. 1)

—

ერთი რამ არის საწყალი
მაღლა გაუდის ცანცალი,
ნეტავი შემატყობინა
რა არის იმის საგრძალი. 2)

—

ასი მასრა მისვევია
ასი კაბა მიცმევია
ერთი მუმის თავსაფარი
თავზედ ჩამომიცმევიაო. 3)

—

ერთი რამცა თეთრი რამცა
თეთრად გადამტკიცილამცა,
ვინცა ამას ვერ მიხვდება
თხაც არის და ბეცი რამცა. 4)

—

ტყეში დავიბადე, შინ ჩამოვედი, დიდი დავიძახე. 5)

—

ქვისკნელსა წითელი ხარი აბია
ორთავ ფეხებით კავშია
ვინც ამას ვერ გამოიცნობს
ადგეს, გავიდეს კარშია. 6)

—

ალჩაია, მალჩაია,
თავს აცვია ჩალთაია,
ვინც ამას ვერ გამოიცნობს
პილწია და გლახაია. 7)

—

შიგნით ათასი, გარედ ატლასი. 8)

—

გამოცანას მოგახსენებ,
რადგან ბრძანე განა, მეცა
ის ვინ იყო არ ისილა
არც ქვეყანა, არცა ზეცა,
უსილავად ღმერთი იცნო
სული წმიდა, მამა, ძეცა
და სისრულით განკრთომილმა
ღმერთსა ჩვენსა თაყვანი სცა 9).

—

გამოცანას მოგახსენებ,
გამოცანას უმართლესა,
ზღვაში შევალ გუშინ დავხსნავ,
მინდორს ვინადირებ ტყეთა,
მიმინოსა ბარგს ავკიდებ
ჯორსა მოუტევებ მწყერსა 10).

—

ზამთარ-ზაფხულის ურწყულა
ზამთართა შინაურია
ტანსა აცვია ეკალი
გაიხდის აზნაურია,
მას წაილებენ ქალაქში
ვერ იცნობთ სადაურია 11).

—

ერთი რამე სულიერი
ანადარე დანადარსა
სამ დღესა და სამ კვირესა
გააცოცხლებს გადამკვდარსა 12).

—

თეთრად დავქსელე, წითლად მოვქსოვე და შავად ამოვჭერ 13).

1) აქლემი. 2) პეპელა. 3) სიმინდის ტარო. 4) ცა. 5) როდინი. 6) ენდრო. 7) რკო. 8) ბროწეული. 9) იოანე ნათლის მცემელი. 10) ფუტკარი. 11) წაბლი. 12) ქათამი და წიწილები. 13) მ ყვალი.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალეევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბე-

---

—რას ამობ, კაცო, ასე მოულოდნელად!

ლეკურის დაკვრამ და ტაშმა გააწყვეტინა ამათ ლაპარაკი.

გათავდა ლხინი. დაიშალა ხალხი. ანდრომ ჩამოართო ხელი თამაროს, „უეჭველად, უეჭველადო“ უთხრა და გავიდა გარეთ.

მოვიდა შინ და მაშინვე ჩაწვა ლოგინში. მთელი ღამე არ დაეძინება, სულ იმ ფიქრში იყო, თუ რა მოელოდა მეორე დღეს. გათენებას მოუთმენლად ელოდა.

თამაროსაც არ მოუხუჭნია თვალი, მასაც ის დარდი უტრიალებდა თავში.

გათენდა დილა. ანდრომ საჩქაროდ ჩაიცვა ტანთ და გასწია თამაროანთკენ.

შევიდა სახლში; მისცა ყველას სალამი და დაჯდა. დიდხან აღარ გააგრძელა სიჩუმე, გაწითლებულმა მიჰმართა თამაროს მამას.

—ბატონო დავით, ხომ მოგეხსენებათ ახლანდელი ახალ-გაზდების აღელვება და უცები გულში სიყვარულის ჩავარდნა რა გამტაცებელია და მასთან თუ ვერ შესრულდება ეს აღელვება, უეჭველია, ცუდი ბოლოც მოსდევს. დღეს მე გიახელით აქ სწორედ მისთვის, რომ თქვენ უნდა ჩემი ბედი დაატრიალოთ, როგორც ჩარხი და დააყენოთ ბედის ვარსკვლავთან.

—თუ ჩემგნით, რაიმე შემწეობა შეიძლება, ბატონი ბძანდებით.

—ყოველი თქვენზეა დამოკიდებული. თქვენი ჰო! გამაბედნიერებს, და თქვენი არა! გამაუბედურებს.

—ბძანე, ბატონო, ბძანე და იქნება აღვასრულოთ.

—აი, ბატონო, მოგახსენოთ. მე მიყვარს თქვენი ქალი და მგონი იმასაც უყვარვარ... დასარწმუნებლად ორივეს ერთმანეთის თანხმობის ნიშანი გვაქვს... ახლა თქვენზეა დამოკიდებული, ინებებთ ჩემს გაბედნიერებას თუ არა!

სთქვა ეს, შეჰხედა თავ-ჩაკიდებულ თამაროს და თვითონაც თავი ჩაჰკიდა.

—ეგ, სხვა ამბავია... შვილოს, თქვენ გაგითავებიათ კიდეც და რაღა... მე რაღა დამრჩენია, უნდა დაგლოცოთ...

—მაშ რაღა უნდა უყოთ დავლოცოთ, დღეს დავპატიჟოთ ნათესაობა და სადილი გადუხადოთ! დაუმატა თამაროს დედამ, რომელიც აქამომდე ჩუმად იჯდა.

—ძალიან კარგი იქნება! ყველამ ერთხმად წამოიძახეს.

—მაშ, მე შინ გიახლებით და მალე ამოვალ ისევ.

გზაზე შეჰხვდა სოსო!

—სად იყავ ანდრო?

—არსად, თამაროანთას, დღეს სადილად იქ ამოდი და გაიგებ ყველაფერს. ეხლა მეჩქარება.

—აი, შე კუდიანო! მიაძახა სოსომ.

მეორე დღეს გაჩაღებული სადილი და ნიშნობა იყო იმავე ორ-სართულიან სახლებში, სადაც „იხარე, ჰერო“! „მოკვდი მტეროს“! ძახილი, რასაკვირველია განუწყვეტლივ ისმოდა.

სოსო ჭოტორელი.

5-ს თებერვალს.

ბიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების სისუსტავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

### სამშაბათს, 22 თებერვალს
### ტფილისის კრუჟოკში
გამართული იქნება

## ბალი

ქართველთ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ.

ქალები ვალდებულნი არ არიან გულამოჭრილ კაბებით იყვნენ.

ბილეთები წინდაწინვე ისყიდება შავერდოვის საგაზეთო სააგენტოში, ხოლო ბალის დღეს—თვით კრუჟოკში.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

---

ლიტოგრაფიული სურათი

## თამარ-მეფისა

ისყიდება უტვენკოს ლიტოგრაფიაში, გოლოვინის პროსპექტზე, ტრიგულოვის სახლებში. ფასი თითო ეგზ. 50 კაპ., ვინც ასს ეგზ. იყიდის—30 კაპ. (3—1)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**დედა და შვილი**

და

**რამდენიმე ლექსი**

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

ინგლისის

## მაღაზია

*Maison de confiance*

| | |
|---|---|
| შესადარეთ ნუვნი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაის—1 მ. 40 | |
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—35)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

**სალამური**

**№ 1.**

გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

---

ა ხ ა ლ ი

## წიგნის მაღაზია

არწრუნის გალერეია № 149, 150 ბ. ჯუგაშელის ბიბლიოთეკასთან

ისყიდება ყოველ-გვარი რუსული და ქართული წიგნები, სახელმძღვანო და ლიტერატურული.

სყიდვა და გაყიდვა ძველი წიგნებისა. მიიღება კომისიით ყოველგვარი წიგნები.

აქვე ისყიდება კანცელარიის მატერიალი, და მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. (100—3)

---

### განცხადება

ქალაქ ბათუმის გამგეობა ამით აცხადებს, რომ, ამ გამგეობის თანა დასწრებით, ამა **1883** წლის მარტის 3-ს დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი), სამის დღის შემდეგ პერეტორჟკით, ბათუმში წყლის გაყვანის მუშაობაზედ, გარდა საჭირო რკინის ნაწილებისა, სულ **14,328** მანეთისა და **30** კაპ.

დაწვრილებითი პირობებისა (კანდიციების) და აგრეთვე სმეტის ნახვა მსურველს შეუძლიან ბათუმის ქალაქის უპრავლენიეში მუდამ დღე დილის **8** საათიდამ ნაშუადღევის **2** საათამდინ. (3—3)

---

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**სახელმძღვანელო რუსული ენისა** ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნებით (съ удареніями) და ისყიდება გამომცემლის ზაქარია გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ჭუკიის ხიდის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათ. ვისაც ყდიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური. გრიქუროვის მაღაზიაშივე ისყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქებიდგან და ადგილებიდგან ყოველ გვარს დაბარებულებას მაღაზია ასრულებს დაუგვიანებლივ.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ჭუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარსა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ორმოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად

## „ციკო“

მოთხრობა

ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რედაქციაში. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპეიკად. (10—4)

---

### ინგლისური რკინის კრავატები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფად სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფაიდნოსები, კლიტეები, ხათვანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—22)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

**ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის ძის გარდაცვალებაზე.**

შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

---

### ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებზედ 15 თებერვლიდამ 1 მარტამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | $3^1/_2$ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 17 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 11 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Февраля 1883 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.